აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ამერიკული საერთაშორისო პროგრამა

საშუალო საფეხური

შპს "ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ცირა ნიკოლაშვილი

წევრები:

გულნარა ხაბურზანია

თბილისი
2022

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი
დაწესებულების სახე	კერძო სამართლის სუბიექტი
საიდენტიფიკაციო კოდი	212807550

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი LTD.Georgian-American School Progress
პროგრამის საფეხური (ზოგადი განათლების საფეხური)	საშუალო
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილ(ებ)ი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სასწავლო კორპუსის N (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გ. N20. ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ.N11-ა. (ფილიალი)
პროგრამის სტატუსი (ახალი/ავტორიზებული/აკრედიტებული) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი“ დაარსდა 2002 წელს ქ. ქუთაისში. სკოლის მისიაა „შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, მისცეს შესაძლებლობა მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ასწავლოს მათ განსხვავებული აზრის და კულტურის პატივისცემა, აღზარდოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ფასეულობების მომხრე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომელიც მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე

სამყაროს გამოწვევებს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები.“

2019 წელს შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესს“ ამერიკის შეერთებული შტატების მააკრედიტერებელი ორგანიზაციის „AdvancED Education, Inc.“-ის (ამჟამად რეგისტრირებულია, როგორც „Cognia, Inc.“) მიერ მიენიჭა აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

2021 წლის 30 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემულია თანხმობა (MES 8 21 0001285356) შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ მიერ უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოპოვებისთვის ღონისძიებების გატარების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითად სტანდარტებსა“ (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტებზე“ (Next Generation Science Standards) დაყრდნობით.

Common Core State Standards-ით სწავლება მიმდინარეობს აშშ-ს 41 შტატში, კოლუმბიის ოლქში და ამერიკის იურისდიქციის ოთხ ტერიტორიაზე. ასევე აშშ-ს თავდაცვის საგანმანათლებლო საქმიანობის დეპარტამენტი (DoDEA) აღნიშნულ სტანდარტებს, მსოფლიოს მასშტაბით არსებული საკუთარი სკოლების სასწავლო გეგმის საფუძვლად იყენებს. Next Generation Science Standards მეცნიერებების სწავლების ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტანდარტებია აშშ-ში, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების XXI საუკუნის გამოწვევებზე მორგებულ მიდგომებს ითვალისწინებს.

2019 წელს Cognia-ს წარმომადგენლების აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ მიიღო აკრედიტაციის „ჩართულობის ჯგუფის“ ანგარიში, რომელშიც დეტალურად იყო შეფასებული სკოლაში მიმდინარე პროცესები. აღნიშნულის შესაფასებლად Cognia იყენებს განათლების ხარისხის ინდექსს (IEQ), რომელიც ასახავს სტანდარტის სამი სფეროს დიაგნოსტიკის შედეგს: ლიდერობის კომპეტენცია, სწავლების კომპეტენცია და რესურსების კომპეტენცია. IEQ შედეგები გადმოცემულია 100 დან 400 სკალით და გვაწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ორგანიზაცია მოსალოდნელ კრიტერიუმებთან მიმართებაში. შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი“ შეფასდა 356.50 ქულით.

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ მიერ შემუშავებული საგანმანათებლო პროგრამა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები და ამასთანავე ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი საფეხურის სტანდარტებს. სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ მიდგომაზე, მათი შესაძლებლობების გამოვლენაზე, სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით

საგანმანათლებლო საგნების სწავლის შესაძლებლობას. სკოლაში ფუნქციონირებს მრავალფეროვანი კლუბები და წრეები.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით 2022 წლის 30-31 მარტს. ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციას. ჩატარდა გასაუბრებები მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან.

სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო შემდეგი მოთხოვნილი დოკუმენტაცია:

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი,
- მასწავლებლების ბაზა,
- მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა,
- მასწავლებლის ინგლისურ ენაზე სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატები,
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დოკუმენტაცია,
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია,
- საგნობრივი პროგრამები.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში შესაბამისობაშია მოსაყვანი საათობრივი ბადეში ასახული ინფორმაცია და თანდართული კომენტარი უცხოური ენების არჩევანის შესახებ მე-2/11 კლასებში (გერმანული, რუსული). საათობრივ ბადეში კი აღნიშნულია მხოლოდ გერმანული ენის სწავლების შესახებ მე-2/12 კლასებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1.სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
2.სახელი, გვარი (წევრი)
3.სახელი, გვარი (წევრი)

პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულების მისიაში ასახული საერთო პრინციპებისა და პრიორიტეტების, ასევე ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, ითვალისწინებს ამ მიზნის მიღწევის გზებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ,,ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ მისიაა „შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, მისცეს შესაძლებლობა მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ასწავლოს მათ განსხვავებული აზრის და კულტურის პატივისცემა, აღზარდოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ფასეულობების მომხრე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომელიც მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები.“ „სკოლის მისია ეფუძნება იმ ხედვებს, რომელზედაც თანხმდებიან სასკოლო საზოგადოების წევრები: სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები. სასკოლო საზოგადოებას სჯერა, რომ თითოეული ბავშვი უნიკალურია და იმსახურებს, რომ საზოგადოებამ და სკოლამ შეუქმნას პირობები, რათა სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. მაღალი აკადემიური მოსწრება, უწყვეტი განათლებისთვის მზადყოფნა, მყარი და დინამიური ცოდნა, რომელიც სკოლამ მოსწავლეს უნდა მისცეს სწორედ უსაფრთხო, მზრუნველ და მოწესრიგებულ გარემოში მიიღწევა. ჩვენი მიზანია ვასწავლოთ ჩვენს მოსწავლეებს, არა მარტო აკადემიური უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შევუწყოთ მათი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას, წავახალისოთ ურთიერთპატივისცემაზე აგებული დისციპლინა და თვითდისციპლინა, როცა თითოეულ მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა თავის ქმედებაზე და მის შედეგზე.“ ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. აგრეთვე, ითვალისწინებს ამერიკული განათლების სისტემის წარმატებულ გამოცდილებას. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებსა და აშშ განათლების სტანდარტებს - „Common Core State Standards“ (საერთო ძირითადი სტანდარტები) და „Next Generation Science Standards“ (მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტები). მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად სკოლა ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს; ზრუნავს მოსწავლეთა ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და მათ

მრავალმხრივ განვითარებაზე; დოკუმენტებში - სასკოლო სასწავლო გეგმაში, განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიმართული კონკრეტული მიზნები, ამოცანები და აქტივობები როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით.

სკოლაში შეთავაზებულია დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფორმით სავალდებულო თუ ფაკულტატური სახით ისეთი საგნები, კლუბები და წრეები, რომლებიც მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას, შესაძლებლობების გამოვლენას, ინტერესების შესაბამისად სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას უწყობს ხელს; ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები და კლუბები. მაგალითად, დებატ-კლუბი, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ კლუბი, STEM კლუბი, გერმანული ენის წრე, ხელოვნების წრე, ბიზნესგანთლების წრე, მედიაწიგნიერების კლუბი, ცეკვის წრე, ჭადრაკის წრე, დებატების კლუბი, ლიტერატურისა და ფილოსოფიის კლუბი, კალათბურთის წრე, ჯეოკლუბი, მუსიკალური გუნდი და სხვა. სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდება კულტურული თუ შემეცნებითი აქტივობები.

სკოლის მხარდაჭერით მოსწავლეები ჩართულნი არიან, აგრეთვე, სკოლისგარეთ მიმდინარე ღონისძიებებში, მონაწილეობენ კონფერენციებსა და კონკურსებში, საგანამანათლებლო პროექტებში, ეროვნულ ოლიმპიადებსა და სპორტულ აქტივობებში. მოსწავლეთა მონაწილეობით გამოიცემა სასკოლო გაზეთი „პროგრესელები.“

სკოლის მიზანია მოსწავლეებისათვის ციფრული მოქალაქეობის უნარის განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და პროგრამებზე წვდომის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ პროგრამა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და დაწესებულების მისიაში ასახული პრინციპებისა და პრიორიტეტებიდან გამომდინარე მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე და ითვალისწინებს არსებული მიზნების მიღწევის გზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი,
- განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები,
- საგნობრივი კურიკულუმები,
- სასკოლო კლუბების დებულება,
- მოსწავლეთა მიღწევები კონკურსებში,
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში,
- კათედრის პორტფოლიოები,
- მასწავლებლის პორტფოლიოები,

- დამრიგებლის პორტფოლიოები,
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან,
- გასაუბრება მასწავლებლებთან,
- გასაუბრება მოსწავლეებთან,
- გასაუბრება მშობლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროგრამები მოიცავს ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომლებითაც მოსწავლე იქნება აღჭურვილი პროგრამის განხორციელების შედეგად. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა, გამოიმუშავოს კვლევითი უნარები, გამოიყენოს მიღებული ცოდნა პრაქტიკაში.

სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ამოცანებს; ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებს და ხელს უწყობს შემდეგი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარებას: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია, ეთიკა, მეწარმეობა, კვლევა, სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა, წიგნიერება, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, პასუხისმგებლობა.

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი, განხორციელებული სასკოლო პროექტები, მოსწავლეთა ჩართულობა და მიღწეული შედეგები სკოლისგარეშე ღონისძიებებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსებსა და გაცვლით პროგრამებში ადასტურებს, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება დასახული მიზნის მიღწევა.

სკოლაში მოსწავლის მიერ პროგრამის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა. სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება ინგლისური ენა და მათემატიკა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ როლს ასრულებს აღნიშნული მექანიზმის არსებობა. წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით წარიმართება მოსწავლესთან დამატებითი ინდივიდუალური საგანმანათლებლო მუშაობა. განსაკუთრებით მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში დიდ როლს ასერულებს აღნიშნული მხარდაჭერა, რათა მისთვის შესაძლებელი გახდეს პროგრამის წარმატებით დაძლევა.

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომლის თანახმად უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სახით ისწავლება შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, წიგნიერება, აკადემიური წერა, მათემატიკა, ლოგიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, ბიზნესუნარები, მედიაწიგნიერება, ლიდერობა), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), ტექნოლოგიები (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, STEM), ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), ფიზიკური აღზრდა და სპორტი, არჩევითი საგნის სახით მესამე უცხო ენა. დამატებითი სავალდებულო მომსახურების სახით შეთავაზებულია ჭადრაკი და ცეკვა. საათობრივი ბადის ნაწილია აგრეთვე დამრიგებლის საათი.

უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები ვალდებული იქნებიან ჯამში 4 საგანი აირჩიონ შემდეგი საგნებიდან: AP American History, AP Micro Economics, AP Macro Economics, AP US Government and Politics, AP Human Geography, AP Calculus, AP German Language and Culture, AP Biology, AP Chemistry, AP Physics.

ზემოთ აღნიშნული არჩევითი Advanced Placement (AP) საგნები საუნივერსიტეტო დონის საგნებია. AP საგნების გამოცდაზე დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების შემთხვევაში, მოსწავლეს საერთაშორისო უნივერსიტეტებში მიღებისას ენიჭება უპირატესობა.

სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის საგნის სწავლების პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილია საგნის სწავლების მიზნები და შინაარსი. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია ინგლისურენოვანი სახელმღვანელოების ჩამონათვალი, რომლითაც მოხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნება განაყოფები ენის ფლობის დონეების მიხედვით ინგლისურ ენაში იმ კლასებში, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 14 მოსწავლეს. უცხოურ ენაში მოსწავლეთა არჩევანის მიხედვით (რუსული ენა, გერმანული ენა), ქართულ ენაში - ქართული ენა, მათთვის ვისთვისაც მშობლიური ენა არის ქართული ენა და ქართული ენა, მათთვის ვისთვისაც ქართული ენა არის უცხოური ენა.

სადამრიგებლო საათი საათობრივი ბადის სავალდებულო საგანია. დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით: საუბრები მოსწავლეებთან, დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება, ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა, შეხვედრები სკოლის ფსიქოლოგთან, მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ

2021-2022 სასწავლო წლიდან სკოლაში სადამრიგებლო მუშაობის ფარგლებში დაინერგა და მიმდინარეობს სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება, რომლის მიზანია მოსწავლეების სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულ სიახლეს დადებითი გამოხმაურება აქვს მოსწავლეებსა და მშობლებში. სადამრიგებლო პროგრამებში ასახულია სადამრიგებლო მუშაობის შინაარსი და დაგეგმილი აქტივობები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები დაყოფილია რამდენიმე ეტაპად: დაწყებითი I-VI, საშუალო სკოლის წინარე მოსამზადებელი VII-IX კლასი და საშუალო სკოლის X-XII კლასები. დაწყებითი I-VI კლასის პროგრამის მიზანია მოამზადოს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მოსწავლეები ინგლისურ ენაზე გაძლიერებული პროგრამის შესასწავლად, მიაჩვიოს ისინი ამერიკული უმაღლესი სკოლის შეფასების სისტემასა და სწავლების მეთოდებს და გამოუმუშავოს სწავლების შემდგომ საფეხურზე წარმატების მისაღწევად აუცილებელი უნარები. საშუალო საფეხურზე პროგრამის მიზნებია: სისტემური ცოდნის კონსტრუირება საგნების გაღრმავებულად სწავლების შედეგად და

ცოდნის მაძიებელი, მოაზროვნე ინდივიდის ჩამოყალიბება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება სწავლის შემდგომ საფეხურზე და რომელსაც შეეძლება საკუთარი ცოდნის და უნარების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

VII-XI კლასებში პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია: 2 ჯუნიორ (Junior Projects) (3500 სიტყვიანი) და სენიორ (Senior Project) (5000 სიტყვიანი) პროექტის მომზადება. მოსწავლეს მოეთხოვება თავისი ინტერესის სფეროს მიხედვით, კვლევითი ნაშრომის დაწერა და შემდეგ მისი საჯარო დაცვა.

2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად, ქართული ენა და ლიტერატურა სავალდებულო საგანია. მას I-XII კლასებში ეთმობა 4 საათი. არჩევანის სახით, დამატებითი საათები ქართული ენასა და ლიტერატურაში შეთავაზებულია I-IV კლასებში 2 სთ., ხოლო V-XII კლასებში 1სთ. დატვირთვით. განაყოფები იქმნება შემდეგი პრინციპით - იმ მოსწავლეებისათვის ვისთვისაც ქართული ენა მშობლიურია და იმ მოსწავლეებისათვის, რომლებისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა.

ინგლისური ენა ისწავლება (I-II და XII კლასებში - 5სთ. ხოლო III-XI კლასებში 6 სთ.). მათემატიკა ისწავლება I კლასში 6 სთ. კვირეული დატვირთვით, II-XII კლასებში 5 სთ. კვირეული დატვირთვით. კურსი შეესაბამება ამერიკული შეერთებული შტატების მათემატიკის კურსს (ალგებრა 1, ალგებრა 2, გეომეტრია) და აგებულია „Common Core State Standards" სტანდარტების შესაბამისად.

მეორე კლასიდან იწყება მეორე უცხოური ენის სწავლება. ისწავლება გერმანული ენა და რუსული ენა. მოსწავლეები აირჩევენ მათგან ერთ უცხოურ ენას. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში შესაბამისობაშია მოსაყვანი საათობრივი ბადეში ასახული ინფორმაცია და თანდართული კომენტარი უცხოური ენების არჩევანის შესახებ მე-2/11 კლასებში (გერმანული, რუსული). საათობრივ ბადეში კი აღნიშნულია მხოლოდ გერმანული ენის სწავლების შესახებ მე-2/12 კლასებში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებისა, შეისწავლება ბიზნესუნარები, ლიდერობა და მედიაწიგნიერება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯგუფში შეისწავლება ფიზიკა, ბიოლოგია და ქიმია. ტექნოლოგიების მიმართულებით ისწავლება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნილოგიები I-VI კლასებში, STEM - III-IX კლასებში. სპორტის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი - ფიზიკური აღზრდა. სპორტი ისწავლება ყველა კლასში.

საგანმანათლებლო პროგრამა არ მოდის წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლების ენა ინგლისურია.

დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე,

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლა სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, • საგნობრივი კურიკულუმები, • დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების პროგრამები, • სადამრიგებლო პროგრამა, • სკოლის თვითშეფასების ანგარიში, • გასაუბრება ადმინისტრაციასთან, • გასაუბრება მასწავლებლებთან, • გასაუბრება მოსწავლეებთან, • გასაუბრება მშობლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მეორე კლასიდან იწყება მეორე უცხოური ენის სწავლება. ისწავლება გერმანული ენა და რუსული ენა. მოსწავლეები აირჩევენ მათგან ერთ უცხოურ ენას. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში შესაბამისობაშია მოსაყვანი საათობრივი ბადეში ასახული ინფორმაცია და თანდართული კომენტარი უცხოური ენების არჩევანის შესახებ მე-2/11 კლასებში (გერმანული, რუსული). საათობრივ ბადეში კი აღნიშნულია მხოლოდ გერმანული ენის სწავლების შესახებ მე-2/12 კლასებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აძლევს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოსწავლეებში კვლევისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამ მიზნით სკოლა იყენებს პროექტზე დაფუძნებული სწავლების (Project-Based Learning) მეთოდს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებასა და მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

შპს „ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში“ მიმდინარე პრაქტიკის მიხედვით მოსწავლეები საგნის მასწავლებელთან ერთად ირჩევენ მათთვის საინტერესო საკითხს და იწყებენ პროექტულ მუშაობას. პროექტის განხორციელებისას მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს, წერენ ინტერვიუს, ატარებენ გამოკითხვას, აანალიზებენ მოპოვებულ ინფორმაციას, თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა საგნის სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს მოსწავლეები გეგმავენ ინტეგრირებულად ინგლისურ და ქართულ ენებზე. პროქტებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესი, მონაწილეობენ განსახორციელებელი პროექტის შერჩევასა და დაგეგმვაში.

იმისთვის, რომ მოსწავლეებში კვლევის, ძიებისა და პრობლემების მოგვარების სწავლება აქტიურად განხორციელებულიყო, სკოლამ ამ მიმართულებით გადაამზადა პედაგოგები, რომლებმაც გაიარეს გრძელვადიანი ტრენინგები პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ხარისხიანად უზრუნველყოფისთვის. სკოლის პედაგოგების მიერ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შესაბამისად შექმნილია პროექტების ბაზა სხვადასხვა საგნებისათვის.

2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სკოლაში დაინერგა PBL (Project/Problem Based Learning) მეთოდოლოგიით სწავლება. საპილოტედ შეირჩა III-VII კლასები. PBL მეთოდოლოგიით სწავლებაში გადამზადდა სკოლა თითოეული სკოლის 15 მასწავლებელი, რომლებმაც ცოდნა და ინფორმაცია გაუზიარეს თავიანთ კოლეგებს.

სკოლა ფლობს PBL მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით მომზადებულ სასწავლო რესურსების ბაზას, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს შექმნან პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული პროექტები.

თითოეული PBL პროექტი მოიცავს: შესავალი ღონისძიების მასალას (ტექსტური, ლინკები, ვიდეო, ა.შ), მიმართველ კითხვას გარე სამყაროსთან, შუალედური

შეფასების და თვითშეფასების ფორმებს, ცოდნის კონსტრუირებისთვის საჭირო სავარჯიშოებს, შეფასების რუბრიკებს, დროში გაწერილ გეგმას, თითოეულ გაკვეთილზე ჩასატარებელ აქტივობებს, მოსწავლეების პიროვნული უნარების განვითარების საჭირო როლებს და მათ აღწერას, ტექნოლოგიების გამოყენების ელემენტებს. პროექტების განხორციელება მორგებულია ონლაინ სწავლების პრინციპზეც.

პროექტებით სწავლება მიმდინარეობს ყველა საგანში. თითოეულ საგანში კვლევითი საკითხები წარმოდგენილია სასკოლო საგნების პროგრამებში. პროექტების შედგენის წარდგენა ხდება პრეზენტაციების და კონფერენციების სახით სასკოლო საზოგადოების წინაშე.

კვლევისა და ექსპერიმენტის ჩატარების უნარების განვითარებაზე ორიენტირებულია როგორც სავალდებულო საგნების პროგრამები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ჩართულობას რეგიონულ თუ საერთაშორისო კონფენერენციებსა და კონკურსებში.

ყოველი სემესტრის ბოლოს იმართება შემაჯამებელი პრეზენტაციები. მოსწავლეები წარადგენენ პრეზენტაციას განხორციელებული სამუშაოს შესახებ და რეფლექსიას საგნობრივი კათედრების მასწავლებელთა ჯგუფის წინაშე.

პროექტზე მუშაობა შემდეგი ეტაპებისაგან შედგება: პროექტზე მუშაობის წესების გაცნობა, პროექტის მოთხოვნების და შეფასების რუბრიკების გაცნობა, მოსწავლის მიერ მისთვის საინტერესო სფეროდან საკვლევი საკითხის შერჩევა, მოსწავლეებისა და მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ პროექტის საკვლევი საკითხის განხილვა, ერთობლივად პროექტის სამოქმედო გეგმის შედგენა, შესრულებული დავალებების წარდგენა გეგმის მიხედვით, დავალებების პლაგიატზე შემოწმება, პროექტის შედეგების პრეზენტაცია კომისიის წინაშე. პროექტებზე მუშაობის ეს ციკლი ხელს უწყობს მოსწავლეებში კვლევის, პრობლემის გადაჭრის, ტრანსფერის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენებას და შესაბამისი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ აკადემიური კეთილსინდისიერების როგორც ღირებულების აღქმა. სკოლას აქვს შემუშავებული აკადემიური კეთილსინდისიერების წესი, რომლის მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ მეცნიერულ დონეზე ნამუშევრების შესრულება, სანდო წყაროების მოძიება და დაფიქსირება, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ნაშრომზე და სხვისი ნაშრომის აღიარება/პატივისცემა. ამ მიზნით საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაციები, დისკუსიები. სკოლის მიერ ასევე გამოიყენება პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანიც პლაგიატის აღმოჩენაა.

2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დანერგოს AP Capstone სადიპლომო

პროგრამა, რომელიც გულისხმობს შეთავაზებული AP საგნიდან (AP Language Art and Composition, AP American History, AP Macro/Micro Economics, AP USA Government and Politics, AP Human Geography, AP Calculus, AP German Language and Culture) 4 საგნის არჩევას და შესწავლას თითოეული მოსწავლის მიერ. ამ საგნების სწავლება XI-XII კლასებში განხორციელდება. აღნიშნული შესაძლებლობა მოსწავლეებს განუვითარებს პრობლემის იდენტიფიცირების, ინფორმაციის მოძიების, მისი დახარისხებისა და გაანალიზების, საკვლევი კითხვების დასმის უნარებს. კვლევაში მოსწავლეები განსაზღვრავენ პრობლემურ საკითხს და სამეცნიერო კვლევასაც ყველა მოთხოვნის დაცვით წარმართავენ. სკოლა ჩართულია „eTwinning"-ის საგანმანათლებლო ქსელში. პლატფორმა სკოლის მასწავლებლებს დამეგობრების, კომუნიკაციისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას აძლევს. მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა სკოლისა და ქვეყნების სკოლის მოსწავლეებთან ერთად პროექტები ინგლისურ, ქართულ და გერმანულ ენებზე, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მოსწავლეებისთვის პროექტზე მუშაობის პროცესს. აღნიშნული შესაძლებლობა ხელს უწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნისათვის საჭირო უნარების განვითარებას, როგორიცაა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარები. ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა აღნიშნულ პლატფორმაზე ჩართულობით და განხორციელებული პროექტებით მიიღეს სერთიფიკატები. პრობლემის გადაჭრის უნარს ავითარებს აგრეთვე სკოლის STEM კლუბი, რომლის წევრი მოსწავლის ნამუშევარი, რომელიც ეხებოდა თერმულ წყლებს, 2021 წლის მოსწავლე-გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის" ფინალში გადავიდა. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აძლევს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სკოლის PBL პროექტების ბაზა საგნების მიხედვით, • განხორცილებული პროექტების ამსახველი მასალა, • მასწავლებელთა პორტფოლიოები, • მასწავლებლის ანგარიშები, • მოსწავლეთა ნამუშევრები, • ვებ-გვერდის დათვალიერებით, • სკოლის გვერდი სოც. ქსელში, • e-Twinning-პროექტები/სერთიფიკატები,

- ლაბორატორიით სარგებლობის დებულება,
- ლაბორატორიული ცდის ოქმის ფორმა,
- გასაუბრება მოსწავლეებთან,
- გასაუბრება მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის“ მისიისა და მიზნების რეალიზებისათვის შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმა და ხორციელდება საქმიანობის სისტემატური შეფასება.

საქმიანობის სისტემატური შეფასებისათვის შექმნილია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. მექანიზმში ასახულია

შესაბამისი პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობის, პასუხისმგებელი პირებისა და ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული მექანიზმი ორიენტირებულია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე და მოიცავს უწყვეტ ციკლს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან გენერალური და აღმასრულებელი დირექტორები, სასწავლო პროცესის კოორდინატორები, არაფორმალური განათლების კოორდინატორი, კათედრის ხელმძღვანელები, ამერიკული პროგრამების ფასილიტატორი და 3 მშობელი სკოლის მშობელთა ასოციაციიდან.

პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირება ან/და მასწავლებელთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა;

ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ სტანდარტებთან, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების (ფინანსები), ადამიანური რესურსების, სტრუქტურული ერთეულების, საშტატო ერთეულების ფუნქციონირების ხარისხის სისტემატური შეფასების გზით.

შექმნილია შემდეგი კითხვარები: მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი, მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი, მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი, ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი, ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი, საშუალო საფეხურის მოსწავლეების შეფასების კითხვარი, მასწავლებელი მოსწავლის თვალით, პედაგოგის შეფასების ფორმა.

შეფასების მთავარი პრინციპებია: სამართლიანობა, გამჭვირვალობა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.

შეფასების შედეგების განხილვაში მონაწილეობენ პედაგოგები. შედეგების განხილვისას მიღებული დასკვნები საფუძვლად ედება მომდევნო სასწავლო წლის პრიორიტეტების განსაზღვრას. იდენტიფიცირებულ პრობლემებზე ხდება რეაგირება.

სასკოლო-სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების ძირითადი მიმართულებებია: დამრიგებლის მუშაობის შეფასება, კათედრების მუშაობის შეფასება, მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება, სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები, მოსწავლეთა შეფასების

სისტემის ეფექტურობა, მოსწავლეთა მიღწევები ცალკეული საგნების მიხედვით და მისი კორელაცია სხვადასხვა ფაქტორთან, სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირება, სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა, მშობელთა ჩართულობა, სკოლის უსაფრთხოება, შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი, პედაგოგების შეფასება, საგაკვეთილო პროცესის ხარისხი და სხვ.

შეფასება ეფუძნება შემდეგი დოკუმენტების ანალიზს: კლასის დამრიგებლების ანგარიშები, კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშები, მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა კითხვარები/თვითშეფასების შედეგები, მოსწავლეთა შედეგები. წარმოებს საგაკვეთილო დაკვირვება, ტარდება მოსწავლეებთან, მასწავლებელთან და მშობლებთან გასაუბრებები.

ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს და აცნობს სასკოლო საზოგადოებას (პედაგოგიური საბჭო, მშობლები). ანგარიშის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები და წარედგინება სკოლის დირექტორს.

პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომებზე განიხილება გამოვლენილი პრობლემური საკითხები, მუშავდება მათი გადაჭრის გზები.

სასწავლო წლის დასრულებისას მოწმდება სასკოლო სასწავლო გეგმის შედეგები, ხდება ანალიზი, შემდეგ განხილვა და რეკომენდაციების გაზიარება პროგრამის განვითარების მიზნით. საგნობრივ კათედრებზე ხდება შეფასების განხილვა, გადახედვა და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება.

სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა ასოციაცია, რომელიც ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ასოციაცია სკოლის მიერ მოიაზრება, როგორც ქმედუნარიანი რგოლი სკოლასა და მშობელთა საზოგადოებას შორის, ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას, როგორც მართვის, ასევე უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში, ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა დროული ინფორმირების და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის მიზნით სკოლამ შეიმუშავა მშობლებთან კომუნიკაციის წესი. დამრიგებლის/მასწავლებლის კომენტარის ფურცელი თვეში ერთხელ ეგზავნება მშობელს ინდივიდუალურად ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოების წესები, სასწავლო პროგრამები, სადამრიგებლო პროგრამა, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ლაბორატორიით სარგებლობის წესი. თითოეული საგნის მასწავლებელი მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შეფასების პრინციპებსა და კრიტერიუმებს.

სასწავლო წლის ბოლოს შემაჯამებელი კრება იმართება, რომელსაც ესწრება სკოლის დირექტორი, ადმინისტრაცია და კლასის დამრიგებელი.

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება იმ ფორმით, რომელსაც აირჩევს მშობელი (სატელეფონო ზარი, SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა. აგრეთვე, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის edupage.org და მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები.

დამრიგებელი სემესტრის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწყობს შეხვედრას მშობლებთან. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ყოველ პარასკევს (14:00 საათიდან 17:00 საათამდე) მოვიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელსა და მასწავლებლებს.

სკოლის ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია სასკოლო-სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. სკოლაში დამკვიდრებულია კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი,
- ხარისხის ჯგუფის სამოქმედო გეგმა,
- კითხვარები,
- კითხვარების შედეგები,
- დამრიგებლის ანგარიშები,
- კათედრის ხელმძღვანელის ანგარიშები,
- სასწავლო პროცესის კოორდინატორის ანგარიშები,
- კათედრის დებულება,
- მშობელთა ასოციაციის დებულება,
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება,
- ელექტრონული ჟურნალი,
- ვებ-გვერდი,
- მშობლებთან გასაუბრება,
- მასწავლებლებთან გასაუბრება,
- მოსწავლეებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორგანიზებულად ხორციელდება და არსებობს დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლაში მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსი (კომპიუტერები, ,,Notebook''-ები, პროექტორები, პრინტერები, ,,SMART BOARD'', ,,SMARTTABLE, ტელევიზორები, რუკები, გლობუსები, წიგნები, ლაბორატორიები და სხვა). სკოლა ორივე მისამართზე (ქუთაისი და ბათუმი) აღჭურვილია თანამედროვე მატრიალურ-ტექნიკური ბაზით. განთავსებულია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, გამოყენებითი ფიზიკის ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია და რობოტოტექნიკის ლაბორატორია. სკოლას ქუთაისსა და ბათუმში გააჩნია პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ნეტბუქები, მონიტორები, პროექტორები, პრინტერისა და სკანერის აპარატები, პლაზმური ტელევიზორები. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ავეჯით (კარადები, მასწავლებლის მაგიდა, დაფა, პროექტორი, მონიტორი, ლეპტოპი). საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია: ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები. ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში; ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებით. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩაატარონ სხვადასხვა ექსპერიმენტები; განთავსებულია - პროექტორი სადგამით, კომპიუტერი, მაგნიტური დაფა. ქიმიის სწავლებაში გამოიყენება საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები: მიკროსკოპები, რეაქტივები, კოლბები, სხვადასხვა ინვენტარი, რომლითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები. შემუშავებულია წესები ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

STEM Education სწავლებისათვის სკოლას შეძენილია აქვს სხვადასხვა რობოტები, მზის რობოტები, წრედები და სხვა საჭირო რესურსი.

სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს; სკოლა ფლობს საჭირო ინვენტარს.

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი წიგნადი ფონდით, ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით ქართულ და უცხოურ ენებზე. ბიბლიოთეკა და სამკითხველო მუშაობს ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 9–დან 17 საათამდე. მკითხველს უფლება აქვს უფასოდ მიიღოს დროებით სარგებლობაში სხვადასხვა საბიბლიოთეკო მასალები გატანის უფლებით ან სამკითხველო დარბაზში სამუშაოდ; პერიოდული გამოცემებით, პრესით, ჟურნალებით, ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით და CD დისკებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში. ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვალდებულია გააცნოს მკითხველს ბიბლიოთეკის დებულებით დადგენილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რაც დადასტურდება მკითხველის ხელმოწერით ფორმულარზე.

სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აერთიანებს 18400 წიგნს, აქედან ქუთაისი-14980, ბათუმი-3220. წიგნადი ფონდი აღრიცხულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში, თითოეული წიგნი ანბანის და განყოფილების მიხედვით განლაგებულია თაროებზე. სკოლის ბიბლიოთეკაში ირიცხება სკოლის სახელმძღვანელოები, ქართული და უცხოური ლიტერატურა, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურა, პერიოდიკა და სხვა. ბიბლიოთეკას გააჩნია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო და კომპიუტერულ სივრცეებს.

სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე სპორტულ აქტივობებში. სკოლას ჰყავს ეროვნულ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებული წარმართვისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს - edupage. ჟურნალში თითოეულ მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს შექმნილი აქვს საკუთარი პროფილი და აქვს წვდომა საჭირო ინფორმაციაზე. მასწავლებლები ელექტრონულად აძლევენ მოსწავლეებს დავალებებს და აფასებენ მათ, მოსწავლეებს შეუძლიათ ელექტრონულად ატვირთონ დავალება სისტემაში და გაეცნონ საკუთარ ქულებს. მშობელს წვდომა აქვს საკუთარი შვილის ქულებზე, დავალებებზე და მასწავლებლის კომენტარებზე. ელექტრონულ ჟურნალში ხდება მოსწავლის დასწრების აღრიცხვაც.

სკოლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიზანია ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება. კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიური ბაზის გაძლიერება და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის

განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის დებულება, • ელექტრონული ბიბლიოთეკის გზამკვლევი, • მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, • სასწავლო პროცესის კოორდინატორის ანგარიში, • შესყიდვის დოკუმენტაცია, • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, • თანამდებობრივი ინსტრუქციები, • თვითშეფასების ანგარიში, • გასაუბრება ბიბლიოთეკართან, • გასაუბრება მასწავლებლებთან, • გასაუბრება მოსწავლეებთან, • ვიზუალური დათვალიერიება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს „ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში“ გამოიყენება ინტერაქტიული სწავლების მეთოდები: დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია; დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. მასწავლებლების მიერ შექმნილია კურიკულუმები, რომლებიც ეფუძნება Common Core და Next Generation სტანდარტებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. საგნის გეგმები წარმოდგენილია შესასწავლი თემებისა და საკითხების სახით. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები. თემების მიხედვით წარმოდგენილია ის სტანდარტები, რომელთა დაფარვის შესაძლებლობას იძლევა თემის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ციფრული რესურსები, რაც ხელს უწყობს ციფრული კომპეტენციების განვითარებას. მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობით შექმნილია პროექტების ბანკი. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რომელიც მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგნის გეგმები, • მასწავლებლის პორტფოლიოები, • მოსწავლეთა ნამუშევრები, • სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიში, • მოსწავლეებთან გასაუბრება, • მასწავლებლებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. მოსწავლის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს „ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში“ შეფასების მეთოდები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების წარმოჩენა, დემონსტრირება. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება სკოლაში არის მრავალფეროვანი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას და განვითარებას. სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. თითოეული

საგნობრივი კათედრა ქმნის შეფასების რუბრიკებს. სემესტრების ბოლოს მასწავლებლები ავსებენ განმავითარებელი შეფასების ფურცელს. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრების მიერ საგანში განსავითარებელი უნარების მიხედვით შედგენილი რუბრიკებით. საგნის მასწავლებელი ინდივიდუალურად აწარმოებს სემესტრის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების ამსახველ დოკუმენტაციას.

სასწავლო პროცესში შეფასების კომპონენტების რუბრიკებს ადგენს საგნობრივი კათედრა, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია შპს „ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შეფასების წესი IX-XII კლასებისათვის.

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მე-9-12 კლასებში სწავლებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა. მოსწავლეს საგანი ჩაბარებულად ეთვლება, თუ სემესტრის მანძილზე 51 ქულა მაინც დააგროვა.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განმავითარებელი შეფასების შემადგენელი ნაწილია მოსწავლეების თვითშეფასება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის გააზრება, გაანალიზებასა და შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვაში. ასევე, თანატოლთა ურთიერთშეფასება, რაც ეხმარება მოსწავლეს უკუკავშირის გაცემასა და მიღებაში. ურთიერთშეფასება მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დანახვაში და ასევე კონსტრუქციული და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

ჩათვლა/ჩაჭრის შეფასებება გამოიყენება საგნის წარმატებით დასრულების ან წარუმატებლობის აღსანიშნად და არ გამოიყენება GPA გამოთვლაში. არადიფერენცირებული - ჩათვლა/ჩაჭრა - Pass / No Pass შეფასება გამოიყენება შემდეგ საგნებში: ხელოვნება; მუსიკა; სპორტი; ქართული ენა და ლიტერატურა.

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე შეფასების კომპონენტებია შუალედური წერა/გამოკითხვა, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ. 2022-2023 სასწავლო წელს I სემესტრში შუალედური წერა/გამოკითხვა ჩატარდება ნოემბრის ბოლოს, ხოლო II სემესტრში შუალედური წერა/გამოკითხვა ჩატარდება მარტის ბოლოს. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შუალედური წერა/გამოკითხვა. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე წერას/გამოკითხვას გაცდენის გამო, მას გაცდენილი შუალედური წერის/გამოკითხვის აღდგენის საშუალება ეძლევა. აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დასრულებამდე ჯგუფურად ან ინდივიდუალურად.

მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 ფინალური გამოცდა ტარდება ყველა საგანში გარდა შემდეგი საგნებისა: ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, ქართული ენა და ლიტერატურა. გამოცდას შეიძლება ჰქონდეს ზეპირი ან/და წერილობითი სახე, საგნისა და მისი მიზნების საჭიროებებიდან გამომდინარე. ფინალური გამოცდის ქულას სემესტრული ქულის გამოანგარიშებისას აქვს 30% წილი. თუ მოსწავლემ ფინალურ გამოცდაში ვერ მიიღო დადებითი შეფასება, მას ეძლევა ორი კვირა განმეორებით ჩასაბარებლად.

მოსწავლეები წლის განმავლობაში აბარებენ Measure of Academic Progress (MAP - აკადემიური პროგრესის გაზომვა) ტესტირებებს ინგლისურ ენასა (კითხვა და გრამატიკა) და მათემატიკაში. MAP ტესტირება ტარდება ელექტრონულად. გამოცდების დასრულების შემდეგ, სკოლა იღებს თითოეული მოსწავლის უნარების და ცოდნის დამადასტურებელ სრულფასოვან შეფასებას Common Core სტანდარტებთან მიმართებაში. დიაგნოსტიკურ წერაში მიღებული შეფასება გავლენას არ ახდენს მოსწავლის სემესტრულ ან/და წლიურ ქულაზე. შედეგები გამოიყენება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მოსწავლეთა შეფასების - ნიშნების კონვერტირებისათვის ეროვნულ შეფასებაში (10 ქულიანი შეფასება) შემუშავებულია კონვერტაციის წესი.

საგნის სემესტრული და წლიური ქულის გამოანგარიშების წესი: ა) საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშება ხდება შემდეგი სქემით: სემესტრის განმავლობაში მიღებული ნიშნების (საკლასო, საშინაო, შუალედური წერები/გამოკითხვები) ჯამს (70%) + ფინალური გამოცდის ნიშანი (30 %) = სემესტრულ ქულას. ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შუალდერი წერა/გამოკითხვა, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შუალედური წერის/გამოკითხვის რაოდენობის ჯამზე. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი: სემესტრის ბოლოს, მოსწავლის ქულების მიხედვით შედგება მისი ნიშნების ფურცელი (Report Card). ორი სემესტრის ქულის საშუალოთი კი გამოითვლება მოსწავლის საბოლოო ქულა თითოეულ საგანში, რაც აისახება საბოლოო ტრანსკრიპტში. ტრანსკრიპტში მოცემულია მოსწავლის GPA (Grade Point Average - საშუალო აკადემიური შეფასება), რომელიც 4.0 ბალიანი სკალით გამოითვლება და ეფუძნება მოსწავლის მიერ ამერიკულ სკოლაში სწავლების პერიოდში მიღებულ ყველა საბოლოო ქულას. განმსაზღვრელი შეფასების გარდა, მოსწავლეებს წლის მანძილზე ეძლევათ განმავითარებელი შეფასება, მასწავლებლების კომენტარები. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა კომპონენტით: მიმდინარე საკლასო სამუშაო, საშინაო დავალება, შუალედური წერები/გამოკითხვები, ფინალური წერები/გამოკითხვები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2022-2023 სასწ.წ.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- განმავითარებელი შეფასების ფორმა,
- მასწავლებლებთან გასაუბრება,
- მოსწავლეებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

შპს „ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში“ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება

განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. შეფასება ხორციელდება როგორც წერილობითი უკუკავშირის და განმავითარებელი კომენტარის საშუალებით, ასევე ვერბალური ზეპირი ფორმით. მოსწავლეებს ელექტრონული ჟურნალის Edupage.org საშუალებით ინდივიდუალურად ეგზავნებათ შეფასებები. პედაგოგები იყენებენ მოსწავლეთა შეფასების ფორმად მოსწავლის თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. სკოლის მიერ გაზიარებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს. ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები; გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა; ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2022-2023 სასწ.წ. • განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, • განმავითარებელი შეფასების ფორმა, • ელექტრონული ჟურნალი, • მასწავლებლებთან გასაუბრება, • მშობლებთან გასაუბრება, • მოსწავლეებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐

3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის განვითარების საჭიროებები, მოსწავლეს შეუძლია მიიღოს მისი მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაცია და დახმარება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი ძლიერ მხარეს წარმოადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ზრუნვა. რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულების საფუძველზე დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს ღონისძიებებსა და აქტივობებს. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები არიან: ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, ექიმი, საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები, კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის პირი; აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა ამის მიუხედავად სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი, ფსიქოლოგი, რომლებიც საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან პედაგოგებს/მოსწავლეებს კონკრეტული სხვადასხვა ტიპის გამოწვევების დაძლევაში. სკოლა განსაკუთრებით ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე და შესაბამისად სკოლამ დანერგა დამატებითი საგანი „სოციალურ-ემოციური უნარები“, რომელიც ტარდება სადამრიგებლო საათზე დამრიგებლის და ფსიქოლოგის ერთობლივი დაგეგმვით. სკოლა ხელმძღვანელობს სპეციალური სახელმძღვანელოთი, რომელშიც გაწერილია თემები როგორიცაა: მე და საზოგადოება, მე-კონცეფცია, ბულინგი/კიბერბულინგი, ემოციების და კონფლიქტების მართვა, მეგობრობა და სხვა. 2021 წლის ბოლოს აღნიშნული საგნის სწავლების ფარგლებში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია „სოციალურ-ემოციური უნარები ერთმანეთის პროგრესისთვის“, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ნაშრომები. მოსწავლეები ინტერვიურებისას განსაკუთრებით დადებითად აღნიშნავდნენ ამ მიმართულებით მუშაობის აქტუალობას. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეებს, რომელთაც სხვადასხვა საგანში სჭირდებათ ხელშეწყობა, განსაკუთრებით ახალ გადმოსულ მოსწავლეებს. ასეთ მოსწავლეებთან დებულების თანახმად სკოლა მუშაობას განახორციელებს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ქართულ-ამერიკულ სკოლა „პროგრესში“ ფუნქციონირებს ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური, რომლის ფარგლებშიც დაფუძნებულია სხვადასხვა კლუბი. აღნიშნული სამსახურის ანგარიშის მიხედვით, სკოლა საკმაოდ აქტიურად ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. 2021 წლის 11-12/12 საკმაოდ წარმატებით განხორციელდა პროექტი: „ინოვაციების ბანაკი“, რომელიც ითვალისწინებდა სამეწარმეო განათლების კომპეტენციის, კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას. პროექტში ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გუნდმა “PROGRESS SQUAD” საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა. ასევე წარმატებით განხორციელდა პროექტი ,,მოსწავლეთა მინი კომპანიები“, „საერთაშორისო საკვალიფიკაციო გამოცდა „Entrepreneruial Skills Pass”, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო ახალგაზრდების ინსპირირება და მომზადება გლობალურ ეკონომიკაში წარმატებისათვის. სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობასა და მოსწავლეებში პოპულარიზაციას ემსახურებოდა წარმატებით განხორციელებული პროექტი „ბრილიანტის გამოწვევა“ რომელშიც საქართველოს მასშტაბით 5 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა სკოლა პროგრესის ერთ-ერთი გუნდი და მონაწილება მიიღო პროექტის ფინალურ ეტაპზე. კლუბების სახეობები, ფორმატი და პროგრამა იცვლება ყოველწლიურად, მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის

გათვალისწინებით.
2021-2022 სასწავლო წლისთვის, ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესი“ მოსწავლეებს, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე სთავაზობს შემდეგი სახის კლუბებს:

- ინტელექტუალური კლუბი „რა? სად? როდის?“(III-XII კლასები)
- დებატების კლუბი (VII-XII კლასები)
- STEM კლუბი (VII-XII კლასები)

კლუბების წევრობა ნებაყოფლობითია. ერთ მოსწავლეს შეუძლია იყოს სხვადასხვა კლუბის წევრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის ანგარიში;
- კლუბების აღწერა;
- კლუბების ანგარიში;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დამატებითი გაკვეთილების აღრიცხვა;
- მოდიფიცირებული/ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა;
- ინტერვიუ-მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატებების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს იმ ცოდნისა და უნარების განვითარებაში, რომელიც მათ გამოადგებათ წარმატების მიღწევაში. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია სხვადასხვა ტიპის როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პროგრამებში მოსწავლეთა ჩართულობა და მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სასკოლო განათლების ხარისხს და მოსწავლეთა მოტივაციას. სტრატეგიული გეგმის შესაბამისად სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა დაინტერესებას, რისთვისაც განხორციელდა არაერთი პროექტი. 2017 წელს სკოლას ჰყავს უკვე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის ,,ლეონარდო და ვინჩის“ მონაწილეები, რომლებმაც შექმნეს მანძილის მზომი რობოტი, რომელიც იმართება პლანშეტიდან, ტელეფონიდან ან სხვა ელექტრონული საშუალებიდან; 2017 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის პროგრესელმა ფინალისტმა შექმნა პროექტი ,,ტალღია ენერგია“. 2019 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გამარჯვებული გახდა პროგრესელთა გუნდი, რომელმაც შექმნა ავტომატიზებული დაკვირვებისა და კვლევის დამხმარე ხელსაწყო ,,ბარნის სმარტ ლაბირინთი“. პროექტის ფარგლებში პროგრესელი მოსწავლე NASA-ს ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრში იმყოფებოდა; 2021 წლის ,,გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის ,,ლეონარდო და ვინჩი“ გამარჯვეებული გახდა გუნდი, რომელმაც მიიღო ფულადი ჯილდო განხორცილებული პროექტის საფუძველზე. პროექტი რეალურად მორგებული იყო საქართველოს შესაძლებლობსა და რეალობაზე, კერძოდ გამოყენებული იქნა ბუნებრივი რესურსი (თერმული წყლები)ალტერნატიული ელ.დენის წარმოქმნის მიზნით. 2021წ. "ლიტონი ქარტა" არის მე-10 კლასელი პროგრესელების კომპანია, რომელიც "ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს" პროექტის ფარგლებში შეიქმნა. კომპანია მეორეული, უკვე გამოყენებული ნივთებისგან ამზადებს ბლოკნოტებს, კონვერტებსა და სანიშნებს. 2021 წლის დეკემბერში სკოლა "პროგრესში" ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია მათემატიკაში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მრავალფეროვან სასწავლო საგნებს როგორიცაა: წიგნიერება, მედიაწიგნიერება, მომავლის პროფესიები, ბიზნეს უნარები, ეკონომიკა. ამ საგნების სწავლება ასევე დაეხმარება სკოლა პროგრესის მოსწავლეებს

წარმატების მიღწევაში. სკოლა პროგრესში ასევე არჩევითია Advanced Placement (AP) საგნები, რომლებიც საუნივერსიტეტო დონის საგნებია, აძლევს მოსწავლეს საშუალებას გამოსცადოს საკუთარი თავი უნივერსიტეტის კურიკულუმის ათვისებაში და გამოიმუშავოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. AP საგნების გამოცდაზე დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების შემთხვევაში, მოსწავლეს საერთაშორისო უნივერსიტეტებში მიღების პროცესში ენიჭება უპირატესობა. ამჟამად სკოლაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სასწავლო კურიკულუმებზე შემდეგ საგნებში: AP Algebra, AP Macro/Micro Econimics, AP language art and composition.

სკოლაში სწავლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროექტული სწავლება, რამდენადაც PBL ხელს უწყობს მოსწავლეებში ლიდერობის, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის, კვლევა-ძიების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა გვევლინება ნოვატორად ბიზნესგანათლების განვითარებაში, რამდენადაც მან წარადგინა საქართველო JA Europe-ში (უმსხვილესი არაკომერციული სუბიექტი ევროპაში, რომელიც ახალგაზრდებს დასაქმებისა და მეწარმეობისთვის ამზადებს) ავსტრიაში, ვენაში, რომელიც მოიცავს ბიზნესის ოფიციალურ სასწავლო პროგრამას საქართველოში.

საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ვიზიტები ქართულ-ამერიკულ სკოლაში - ,,პროგრესი", ასევე მემორანდუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა მომავალი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები: სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გოეთეს ინსტიტუტთან, მიუნსტერის უნივერსისიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან და სხვ. მიუნსტერის უნივერსიტეტიდან წელიწადში ორჯერ 2 თვით ჩამოდიან მიუნსტერის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულები და პრაქტიკას გადიან ქართველ პედაგოგებთან ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში. გოეთეს ინსტიტუტთან, "english book in Georgia" ინტენსიური შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან იძლევა იმის გარანტიას, რომ სკოლის კურსდამთავრებულები მომზადებულები შეხვდებიან ცხოვრების შემდგომ ეტაპს და მაქსიმალურად გამოიყენებენ სკოლაში მიღებულ უნარებსა და გამოცდილებას.

სკოლა პროგრესი მემორანდუმის ფარგლებში ანხორციელებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებს ბრაიტონის საერთაშორისო სკოლასთან(ინგლისი), ბადოინჰაუზენის და უნას ევროპულ სკოლებთან გერმანიაში; ასევე ამერიკაში საკრამენტოს როლინგჰილისის საბაზო სკოლასთან, ბერლინის ლომონოსოვის სახელობის სკოლასთან. სკოლა ,,პროგრესი" ასევე თანამშრომლობს მონტანას ბოუზმენის საშუალო სკოლასთან.

ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მოსწავლეები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროგრამებში, კონკურსებში, კონფერენციებსა და გამოცდებში. სკოლის ყველა კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბარა საქართველოს და უცხოეთის წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულების სია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა; არჩევითი და სავალდებულო საგნების ჩამონათვალი/პროგრამა;
- მემორანდუმები.
- ინოვაციური და STEM კონკურსებში მიღწეული წარმატებების ამსახველი დოკუმენტი;
- ინტერვიუ - მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3. მოსწავლეებს აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება, დაწესებულება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებასა და მოსწავლეთა მიღწევების წახალისებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს თვითრეალიზაციის საშუალება, ჩაერთოს სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებაში, დააფიქსიროს საკუთარი აზრი თუ პოზიცია სასკოლო

ცხოვრებასთან დაკავშირებით. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომლის საქმიანობის წარმართვას არგულირებს მოსწავლის თვითმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან. თვითმართველობის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის მართვის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და მათ იდეების განხორციელებას; გაზარდოს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი; მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. ამ მიზნების ხელშემწყობი კლუბების და აქტივობების ფორმირება; ასევე მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

თვითმართველობა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ უფლებებს; მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოსწავლეები ინტერვიურებისას სიხარულით აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ ინიცირებული იდეა მოსწავლეთა უსაფრთხოების შესახებ ქ. ქუთაისის მერიაში გათვალისწინებული იქნა, რის შედეგადაც ავტოსატრანსპორტო კომპანიის მიერ სავალდებულო გაჩერებათა რიგებში სკოლის წინ არსებულ გზის მონაკვეთზე დაიხაზა საფეხმავლო გადასასვლელი და განთავსდა საგზაო ნიშნული.

თვითმართველობის ინიცირებით დირექციასთან კოორდინირებით ხდება ბიბლიოთეკაში საკითხავი ლიტერატურის განახლება. თვითმართველობის წევრების ორგანიზებით ხორციელდება შესაბამისი კითხვარების დარიგება მოსწავლეებში სასურველი წიგნის შესახებ და ამის საფუძველზე მრავალფეროვანი ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

სკოლის თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა ,,საახალწლო სტარტები“. გასართობ-შემეცნებით პროგრამაში ჩაერთო 200-ზე მეტი მოსწავლე. მოსწავლეთა თვითმმართველობის საორგანიზაციო ჯგუფის 20-მდე წარმომადგენელმა განივითარა ღონისძიებათა ორგანიზების, გასართობ-შემეცნებითი პროგრამების შინაარსობრივი და ტექნიკური გაწერის უნარ-ჩვევები.

თვითმართველობის წევრებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტელექტუალური კლუბების მიმართ ინტერესის გათვალისწინებით ეს კლუბი ღიაა უკვე მესამე კლასელებისთვისაც. თვითმართველობის წევრის ინიცირებით იგეგემება სკოლებს შორის ,,სკოლბურთის“ სპორტული შეჯიბრება.

სკოლა პროგრესმა e-Twinning ევროპული ხარისხის ნიშანი მიიღო. პროექტის ფარგლებში სკოლა პროგრესის პედაგოგებმა მოიპოვეს როგორც ეროვნული, ასევე ევროპული ხარისხის ნიშანი. პროექტები განხორციელდა e-Twinning-ის საერთაშორისო პორტალზე. პროექტში "Design Tiny Hands" მონაწილეობას იღებდა სკოლა პროგრესის 2ბ, 3ბ, 4გ კლასები. სულ ჩართული იყო 22 მასწავლებელი და 226 მოსწავლე სხვადასხვა ქვეყნიდან(თურქეთი, რუმინეთი, ალბანეთი, ესპანეთი, პოლონეთი, ხორვატია, იტალია, მაკედონია, საფრანგეთი) პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს ევალებოდათ მათი ასაკის შესაბამისი სახალისო აქტივობების შესრულება: 1. გაეცნოთ საკუთარი თავი თანატოლებისთვის 2. შეესრულებინათ თავიანთი ხელით სხვადასხვა პროდუქტები და აღეწერათ ინგლისურ ენაზე. პროექტის საბოლოო პროდუქტი იყო ონლაინ გამოფენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმართველობის სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ანგარიში;
- კლასგარეშე აქტივობების კალენდარი;
- სასკოლო გაზეთი ,,Progress newpaper"
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან", სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შპს „პრაიმ სთადი", ორგანიზაცია Heavenly Culture, World Peace, Restoration of light, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გასაუბრება მოსწავლეებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა	■	□	□	□

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი მონაწილეობს მათი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლა პროგრესში პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. მისი მიზანია დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების გაუმჯობესება, მისი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა, პერსონალის პროფესიული და პიროვნული შესაძლებლობების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა და სკოლის მიღწევების გაუმჯობესება. პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით სკოლაში ,,პროგრესი“ ყოველწლიურად მუშავდება და იქმნება პროფესიული განვითარების გეგმა. დაწესებულებაში ახალი მასწავლებლის ადაპტაცია ხორციელდება წინასწარ გაწერილი სამოქმედო აქტივობების მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს სკოლის მიერ შემუშავებული გზამკვლევი. ეს ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის სწრაფ და წარმატებულ ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოში. სკოლა ,,პროგრესს“ შემუშავებული აქვს კათედრის წევრ მასწავლებელთა სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ინტერვენციების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს გაკვეთილზე ურთიერთდასწრებას, ერთობლივი გაკვეთილის ჩატარებას, კრიტიკული მეგობრის ჯგუფის არსებობას. პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მენეჯერი. მასწავლებლები მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში, ასევე სკოლაში ჩატარებულ ტრენინგებში. აქვე აღსანიშნავია, რომ პერსონალის პროფესიულ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სხვადასხვა

ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; გოეთეს ინსტიტუტი; ბრაიტონის საერთაშორისო სკოლა; ბადოინჰაუზენის და უნას ევროპულ სკოლები გერმანიაში; ამერიკაში საკრამენტოს როლინგჰილისის საბაზო სკოლა, ბერლინის ლომონოსოვის სახელობის სკოლა; მონტანას ბოუზმენის საშუალო სკოლა და სხვ.).

მასწავლებლების შეფასებისა და შედეგების ანალიზისთვის გამოიყენება ELEOT (Effective Learning Environment Observation Tool - ეფექტურ სასწავლო გარემოზე დაკვირვების ფორმა) რუბრიკა. სემესტრის ბოლოს ხდება გაკვეთილზე დასწრების შედეგების ანალიზი, შეფასება და ტრენინგების დაგეგმვა.

გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა ჩაატარა მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „სკოლის ციფრული მართვისა და დისტანციური სწავლების გამოწვევები და უპირატესობები“. კონფერენციის მიზანი იყო თანამშრომლობის გაღრმავება, სკოლის მართვის და დისტანციური სწავლების საუკეთესო, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება. კონფერენციის ფარგლებში სკოლის დირექტორებმა, მოადგილეებმა, ხელმძღვანელმა პირებმა, პედაგოგებმა და ზოგადი განათლების სფეროში მოღვაწე პირებმა წარმოადგინეს თემები და გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგებმა გერმანიიდან ბადოინჰაუზენის ევროპული სკოლის და პოლონეთის პარტნიორი სკოლებიდან. კონფერენცია ჩატარდა სინქრონული თარგმნის რეჟიმში ქართულ და ინგლისურ ენებზე.

დადებითად უნდა აღნიშნოს ასევე, რომ სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით 2022 წლის 15 იანვრიდან ქართულ -ამერიკული სკოლა პროგრესი ახორციელებს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს დაინტერესებული პირებისთვის. ამ ეტაპზე ენის შემსწავლელ კურსში B2 დონის დასაძლევად ჩართულია სკოლის 31 თანამშრომელი (16 თანამშრომელი ქუთაისიდან და 15 თანამშრომელი ქ. ბათუმიდან). აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანია ამერიკული პროგრამების განხორციელებისთვის არსებული კადრის გადამზადება საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში ინგლისურ ენაზე საგაკვეთილო პროცესის წარმოების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სამივე ფილიალის პედაგოგებს პერიოდულად აქვთ შეხვედრები საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროფესიული განვითარების აქტივობები;
- eleot დაკვირვების ინსტრუმენტი;
- თანამშრომელთა შეფასების სისტემა -,,360 გრადუსიანი“ შეფასების მოდელი;
- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი;
- პერსონალის შეფასების პოლიტიკა;
- მასწავლებელთა ელექტრონული პორტფოლიოს შეფასების სქემა;
- პედაგოგთა სერტიფიკატები:
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შპს „პრაიმ სთადი“, ორგანიზაცია Heavenly Culture, World Peace, Restoration of light, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- ELEOT-ის შედეგების ანალიზი;
- შპს "ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი" გენერალური დირექტორის მიერ გაცემული ცნობა პედაგოგებისთვის სკოლაში ინგლისურის შემსწავლელი კურსის განხორციელების შესახებ 04/71. 31.03.22.
- გასაუბრება მასწავლებლებთან/დირექციასთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და

სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა) და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად.

ქართულ-ამერიკულ სკოლას პროგრესი შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ლაბორატორიით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკის გზამკვლევი, ტექნოლოგიების გეგმა.

სკოლას გააჩნია ქუთაისში 54 საკლასო ოთახი, ბათუმის ფილიალში- 27. რომელთაგან ყველა აჭღურვილია მოსწავლის ასაკისა და ფიზიკური განვითარების შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სასკოლო ინვენტარით (მოსწავლის მერხები, კარადები, მასწავლებლის მაგიდა, დაფა, მონიტორი). სკოლას გააჩნია საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი, სასადილო, ლაბორატორიები: ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისათვის. მასწავლებელთა ოთახი, ბიბლიოთეკა, სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახი, ევროკავშირის კუთხე, უცხოური ენების კაბინეტები. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სადაც ტარდება სპორტის გაკვეთილები. სპორტის სახეობებია კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, აერობიკა. დარბაზს გააჩნია შესაბამისი ინვენტარი სპორტის ამ სახეობაში გაკვეთილების სრულფასოვნად ჩასატარებლად.

სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია:

- ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები: ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში.
- ქიმიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები.
- ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩაატარონ სხვადასხვა ექსპერიმენტები.

სკოლამ წარმოადგინა ასევე ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განკუთვნილია მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები და ტელევიზორები. სკოლის ტერიტორია უზრუნველყოფილია უკაბელო Wi-Fi ტექნოლოგიით.

სკოლაში ასევე, დანერგილია STEM Education სწავლება, რისთვისაც სკოლას შეძენილი აქვს სხვადასხვა პატარა რობოტები, მზის რობოტები, წრედები და ა.შ. დიდი ყურადღება ეთმობა მომავლის პროფესიების სწავლებას, PBL-სწავლებას, რასაც თავად მოსწავლეები დიდი ინტერესითა და ხალისით ეუფლებიან.

სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევაში ჩართულნი არიან საგნობრივი კათედრები, ბიბლიოთეკარი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დირექტორი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც სასწავლო სახელმძღვანელოები, ასევე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენებზე. ასევე - ონლაინ ელექტრონული ლექსიკონები (18 ვებ-გვერდი);

სკოლას გააჩნია ბათუმსა და ქუთაისში ერთობლივად:

1. კომპიუტერი - 31
2. ლეპტოპები - 5
3. პროექტორი - 8
4. SMART დაფა- 3
5. ისტ ლაბორატორია- 1
6. STEM-ლაბორატორია -1
7. ტელევიზორი - 37
8. პრინტერი - 6
9. დოკუმენტ კამერა - 1.
10. დასარტყამი ინსტრუმენტი-1.
11. მიკროფონი -2.
12. პიანინო -2;
13. ჩოგბურთის მაგიდა -2;
14. ჭადრაკის მაგიდა - 4.

მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, რამდენად აქტიურად იყენებენ ზემოთ ჩამოთვლილ ინვენტარს სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობების დროს, რაც სასწავლო პროცესში ჩართულობის კუთხით კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას იწვევს მოსწავლეებში, ხოლო პერსონალს ეხმარება სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვაში მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ელექტრონული ლექსიკონები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის გზამკვლევი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიის ცდის ოქმი;
- ტექნოლოგიური აღჭურვილობის სია;
- ტექნოლოგიების განვითარების დებულება;
- სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. სკოლას შემუშავებული აქვს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი სტატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმებში განსაზღვრულია პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმები.

სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს შპს ქუთაისისა და ბათუმის ფილიალის ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის განვითარების გეგმას 2022-2028 წლებისათვის. (თუმცა გეგმაში მეორდება ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ექვსწლიანი გეგმის ნაცვლად წერია 5 წელი: 2022-2027). დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სკოლის სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2022-2028 გასატარებელი ღონისძიებები. სტრატეგიული გეგმის შესასრულებლად სკოლამ ჩამოაყალიბა სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ დასახულ გრძელვადიანი მიზნების, ამოცანების და მიზნების მიღწევის გზებსა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებს, დასახული მიზნების რეალიზების ვადებს, საშუალებებს და შედეგებს.

ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და შემდეგი მიმართულებით წარმართავს სასკოლო საზოგადოების ძალისხმევას :

• სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;
• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება;
• სკოლის ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება;
• ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა;

• უსაფრთხო სასწავლო გარემო.

ჩამოთვლილი კატეგორიები სტრატეგიულ გეგმაში ჩაშლილია მიზნების სახით და საერთოა მთელი სკოლისთვის. ყველა მიზანში მოიაზრება თითოეული პროგრამა, ყველა მოსწავლე და მასწავლებელი. სტრატეგიული გეგმა გაწერილია წლების მიხედვით.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის შედეგების გაანალიზება, რამდენად იქნა დასახული მიზნები მიღწეული. ამის საფუძველზე ხდება გამოწვევების განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა შემდგომში მათი წარმატებით დაძლევის მექანიზმის შემუშავების მიზნით. საგულისხმოა, რომ შეუსრულებელი ან ნაწილობრივ განხორციელებული აქტივობები იმავე ან სახეცვლილი ფორმით გადადის შემდეგი მომდევნო წლის გეგმაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.
- ტექნოლოგიების დებულება;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან;
- გასაუბრება კათედრის ხელმძღვანელებთან/პედაგოგებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
2. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე „ ციკლს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ამერიკულ სკოლაში პროგრესი მოქმედებს ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. გრძელვადიან გეგმაში (2022-2028)მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე სკოლის განვითარების მიზნები და შესაბამისი ამოცანები გაწერილია შემდეგი მიმართულებით: • სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; • საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; • უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; • სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მოსწავლეების სწავლა-სწავლების ამაღლება; • მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; • ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება. ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის გენერალური და

აღმასრულებელი დირექტორები, სასწავლო პროცესის კოორდინატორები, არაფორმალური განათლების კოორდინატორი, კათედრის ხელმძღვანელები, 3 მშობელი სკოლის მშობელთა ასოციაციიდან, ყოველი სემესტრის დაწყებამდე ადგენს კვლევის საჭიროებებს და შეიმუშავებს მიმდინარე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას. შეფასებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი გუნდი არჩევს შესაფერის მეთოდოლოგიას: მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების მიზნით ისინი შეისწავლიან მონაცემებს სასკოლო ჟურნალებიდან (განმსაზღვრელი შეფასება), კათედრის პორტფოლიოებიდან (შემაჯამებელი დავალებების შესრულების ანგარიშები, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიშები), შეადგენენ დიაგრამას და გამოკვეთენ კონკრეტულ საგნებში აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელს საგნების მიხედვით; სპეციალური ფორმების გამოყენებით აფასებენ მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს (მასწავლებლის შეფასების სქემა, ELEOT ფორმა).

პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა გამოკითხვით, ინტერვიურებით. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით მოსწავლეებს ურიგდებათ სასწავლო საგნისა და მასწავლებლის შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირება ან/და მასწავლებელთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა;

შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ – სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს. Power-Point საპრეზენტაციო ფორმატში პედაგოგიურ საბჭოზე აღმასრულებელი დირექტორი წარმოადგენს ყველა დეტალურ ინფორმაციას სწავლა-სწავლების შესახებ მიღწევებზე. აგრეთვე კათედრის ხელმძღვანელებიც წარმოადგენენ მონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს და აცნობს სასკოლო საზოგადოებას.

ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება სკოლის დირექტორს. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას(პედსაბჭო, მშობლებთან შეხვედრები). სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო წლის სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის სკოლა გეგმავს კონკრეტულ ამოცანებს და მიზნის მისაღწევ შედეგებს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია SWOT ანალიზის შედეგები და ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების მიზეზების დადგენა და მათი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიზნით მასწავლებლებს ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრების დროს ეცნობებათ წლის შემაჯამებელი ანგარიში და ეძლევათ უკუკავშირის საშუალება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები, რომელზე დაყრდნობითაც აუცილებლად დაიგეგმება პროფესიული განვითარების მომდევნო ღონისძიებები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას უკვე წლებია პარტნიორული ურთიერთობა აქვს ევროპის სხვადასხვა სკოლასთან: გერმანიის ბადოინჰაუზენის ევროპული სკოლა, პეტერ-ვაისი გიმნაზია, პოლონეთის, ინგლისის, უკრაინის და სხვა ბევრ სკოლასთან, რაც

მათ აძლევს საშუალებას გაიზიარონ და დანერგონ ევროპული სკოლების საუკეთესო პრაქტიკა. სკოლა ზრუნავს, რომ პედაგოგთა პროფესიული გადამზადება მოახდინოს არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ევროპის წამყვან სკოლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი; • ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის სამოქმედო გეგმა; • მშობელთა ასოციაციის დებულება; • კათედრების პორტფოლიოები; • მშობელთა, მოსწავლეთა და პედაგოგთა კითხვარები; • ტექნოლოგიების გეგმა; • სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • სკოლის სამოქმედო გეგმა; • მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; • ინტერვიურება მასწავლებელებთან; • ინტერვიურება მშობლებთან/მოსწავლეებთან; • ინტერვიურება ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია სასკოლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასკოლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯოებესებლად ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში იყენებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს.

სასწავლო წლის მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობს სასკოლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობები. სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხორციელდება ELEOT (Effective Learning Environment Observation Tool - ეფექტურ სასწავლო გარემოზე დაკვირვების ფორმა) რუბრიკის გამოყენებით. ELEOT ფორმა არის დაკვირვების ინსტრუმენტი, რომელიც სასწავლო გარემოს აფასებს შემდეგი მიმართულებით: სამართლიანი სასწავლო გარემო, მაღალი მოლოდინების გარემო, მხარდამჭერი სასწავლო გარემო, აქტიური სასწავლო გარემო, პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის გარემო, კარგად უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო და ციფრული სასწავლო გარემო.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რაც ხელს უწყობს რეფლექსიას ჩატარებული სამუშაოს შესახებ და განვითარების გეგმის სწორად დასახვას.

სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლა ამტკიცებს შეფასების ფორმებს, კერძოდ:

- მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი;
- მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი;
- მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი;
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი;
- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი;
- საშუალო საფეხურის მოსწავლეების შეფასების კითხვარი;
- მასწავლებელი მოსწავლის თვალით შეფასების კითხვარი;
- მშობელთა გამოკითხვის ანალიზი და სტატისტიკა;
- მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი და სტატისტიკა;
- დამრიგებლის შეფასების კითვარი;
- კითხვარი მასწავლებლებისთვის;
- პედაგოგის შეფასების ფორმა.

წარმოდგენილი ინსტრუმენტების ერთობლიობა იძლევა საშუალებას მრავალი კუთხით

მოხდეს მასწავლებლის მუშაობის გაანალიზება და სასკოლო გარემო; COVID-19 პანდემიის პერიოდში ონლაინ-სწავლების შედეგების შეფასებისთვის სკოლამ შეიმუშავა დისტანციური სწავლების შესახებ ადმინისტრირების წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული სწავლების წარმართვის წესი. დამატებით სკოლამ ასევე შეიმუშავა დისტანციური გაკვეთილის შეფასების კითხვარი. ყოველი წლის ბოლოს მასწავლებლები და საგნობრივი ჯგუფის ლიდერები თვითშეფასების ფორმას ავსებენ. ეს ხელს უწყობს ჩატარებული სამუშაოს გააზრებასა და მომდევნო განვითარების გეგმების დასახვას. ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი აკრედიტებულია საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანოს - Cognia-ს მიერ. აკრედიტაციის გასაახლებლად, სკოლამ 5 წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს სრული შეფასება. შეფასების ფარგლებში სკოლაში სტუმრობდა უცხოელი ექსპერტების ჯგუფი. ვიზიტი განხორციელდა 2019 წელს. ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა შეფასების უმეტეს კრიტერიუმებში (მისია და მიზანი, პოლიტიკების ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობების და როლების განაწილება, სწავლა-სწავლების პროცედურები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, პოზიტიური სასწავლო გარემო, მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბება სწავლებისას, სტანდარტებთან შესაბამისობა, საუნივერსიტეტო ორიენტაცია, მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა, შეფასების პროცესი, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, პერსონალის კვალიფიციურობა, რესურსებით უზრუნველყოფა და სტრატეგიული დაგეგმვა) მიიღო „აკმაყოფილებს სტანდარტს“. სკოლამ მიიღო დეტალური უკუკავშირი Cognia-ს სტანდარტების შესრულების ხარისხის შესახებ. აღნიშნულ შეფასების შედეგებსა და მონაცემებს სკოლა იყენებს შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო აქტივობების განსახორციელებლად, ორგანიზაციის უწყვეტი განვითარებისათვის. განვითარების პრიორიტეტები ასახულია სკოლის ექვსწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი; • ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი; • ELEOT-ის შედეგების ანალიზი; • ELEOT-ის დაკვირვების ფორმა; • Cognia-ს აკრედიტაციის მოხსენება/ანგარიში; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მშობლებთან/მოსწავლეებთან; • ინტერვიუ პედაგოგებთან/კათედრის ხელმძღვანელებთან; • კითხვარების ფორმები და შედეგები; • თანამშრომლის 360 გრადუსიანი შეფასების მოდელი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
3. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51